# საქართველოს პრემიერ-მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 511 2019 წლის 19 დეკემბერი ქ. თბილისი

**საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის შესახებ**

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოსა (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ) და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულებით („საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტის (GTC) ტექნიკური დახმარება – ფაზა 1“; „საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტის (GTC) კვლევები – ფაზა 1“; „საგზაო უსაფრთხოების ტექნიკური დახმარება პრიორიტეტული შავი წერტილების მართვის კუთხით“) გათვალისწინებული გრანტის

მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხელი მოაწეროს საქართველოსა (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ) და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის გასაფორმებელ საგრანტო ხელშეკრულებას („საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტის (GTC) ტექნიკური დახმარება – ფაზა 1"; „საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტის (GTC) კვლევები – ფაზა 1"; „საგზაო უსაფრთხოების ტექნიკური დახმარება პრიორიტეტული შავი წერტილების მართვის კუთხით").

**გიორგი გახარია**